გადაწყვეტილება

N გ-20-19/703
17/09/2020

703-გ-20-1-4-202009171049

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 3 სექტემბრის №გ-20-20/677 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2020 წლის 3 სექტემბერს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება №გ-20-20/677, სს “სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილობრივ კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შესახებ.

კომისიის 2020 წლის 3 სექტემბრის №გ-20-20/677 გადაწყვეტილებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში „2020 წლის 16 აპრილის №გ-20-18 /404“ გადაწყვეტილების ნაცვლად უნდა ეწეროს „2020 წლის 16 აპრილის №გ-20-18 /403“ გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არსებითი შესწორების შეტანა ნიშნავს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისთვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისათვის ან გაცნობისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გასწორდეს კომისიის 2020 წლის 3 სექტემბრის №გ-20-20/677 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და აღწერილობით ნაწილში „2020 წლის 16 აპრილის №გ-20-18/404“ გადაწყვეტილების ნაცვლად ჩაიწეროს „2020 წლის 16 აპრილის №გ-20-18/403“ გადაწყვეტილება.

2.დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო. ვოტ), აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სათანადო წესით შესაბამის რეესტრში შეტანა;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას აღნიშნული გადაწყვეტილების სს “სილქნეტისათვის“ გაგზავნა (ო. ვოტ) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), ამ გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო.ვოტ).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი